



1990 წ.  
№ 2

საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

ს ა რ ი ს    ო პ ი ვ ი დ ი    ო ა ნ ს    ო ნ ე ა    ო ო პ ი მ ე

სოფლის მეურნეობის მუშაკები, მომავალი ქართველი ფერმერები, თითქოსდა გულგრილად არიან განწყობილნი საქართველოს მომავლის მიმართ. ისინი მიმდინარე პროცესებს აღიქვამენ როგორც ახალ რევოლუციას. ივიწყებენ რა, რომ საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამით აღიარებენ კომუნისტების ბატონობას და მათ მმართველობით როლს საქართველოში. საქართველოს არ სჭირდება რევოლუცია. მას მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა სურს, მრავალპარტიული პარლამენტის შექმნა და თავის ისტორიულ ტერიტორიებზე ნამდვილი დემოკრატიის დამკვიდრება სურს. აი ეს აზრი არ არის განვითარებული სოფლად. ადგილობრივი კომუნისტები ხედავენ რა ჩვენს ამ ნაკლს, თავიანთი სააგენტოთა საშუალებებით ყოველ ღონეს ხმარობენ მოსახლეობის ღებინ-ფორმაციისათვის. ამავე დროს არც თავიანთ თავს ივიწყებენ. ხალხში ანეითარებენ აზრს, რომ კომუნისტურ პარტიას შეუძლია იყოს კარგი და პატიოსანი. მოსახლეობა იჯერებს მორიგ ტყუილს, რადგან ისინი მიჩვეულნი არიან მო-

რილებას; დაბეჩავებული ხალხი ყოველდღიურად ხედავს მათ თვითნებობას, მიქრთამებობას, სოფლის სატვივარისა-ღმი გულგრილობას და ღებინება უწყის კიდევ რა სიბოროტეს არა, მაგრამ მაინც სდუმს. სდუმს იმიტომ რომ შერვეული ჭირი უჩრევნია, იმიტომ რომ ძლიერის ეშინია და აუტკივარი თავის ატკივება არ უნდა. ფიქრობს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მისი საქმე არაა. ვხედავთ ყოველგვრად ამას და კვლილობ როგორმე მივიტანოთ ჭეშმარიტება ყველას შეგნებამდე. საქართველოს ყოველმა მოსახლემ უნდა იცოდეს თუ რა ხდება დღეს მის სამშობლოში, თუ რისი გაცეხებაა საჭირო მისთვის. იმისათვის, რომ ღაჯოღების და მისი მეზობელი რაიონების /ე.ი. პერეთის/ მცხოვრებლებს ჰქონდეთ საშუალება თავიანთი აზრის საჯაროდ გამოქვეყნებისა, საქართველოს დემოკრატიული პარტიის ღაჯოღების რაიონულმა კომიტეტმა გადაწყვიტა გაზეთი "პერეთი" გამოვიდეს პარტიის ეკილის გარეშე. ამიერიდან გაზეთს ეწოდება პერეთის, რეგიონალური გაზეთი. იგი გამოვა თავისუფალი პრესის პრინციპით და მასში მასალების გამოქვეყნების უფლება

ეძლევათ ნებისმიერ პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ორგანიზაციას, ნებისმიერ პატრიოტს ყოველგვარი ცენზურისა და "შესწორებების" გარეშე. ავტორებს უფლება აქვთ ითანამშრომლონ გაზეთთან ინკონგნიტოდ და ხელი მოაწირონ სტატიებს ფსევდონიმით. შეუმოწმებელ და ანანომიურ მასალებს გაზეთი არ გამოაქვეყნებს. ხოლო იმისათვის, რომ გაზეთის ფურცლები არ გახდეს პირადული ხასიათის კონკლიტების განმზილველი ორგანო, ვაცხადებთ, რომ მასალები უნდა შეიცავდეს ხალხის ძირითად სატკივარს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ეროვნულ საკითხებზე, სოფლის მეურნეობაში არსებულ დანაშაულებრივ კორუფციაზე და სხვა. პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები გაზეთისათვის წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი გაზეთის კორესპოდენტებს და სასტიკად აკრძალული ექნებათ რაიმე გავლენის გამოყენებით ურთიერთგანხილვა. გაზეთი "პერეთი"-ს რედაქცია. 1990 წლის 3 თებერვალი.

მიჯართვა საქართველოში მსხოვრები ოსი მოსახლეობისადმი

საქართველოს სახელმწიფოს მრავალ საუკუნოვანი ისტორია აქვს. გასაგებია, რაოდენ ძნელი უნდა ყოფილიყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და თავისი განსხვავებული სოციალურ-კულტურული გარემოს შექმნა ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორც ქართველებია. ისტორიის ქარტიხილებს ვერ გაუძღეს არა თუ ზოგიერთმა დიდმა ერებმა, არამედ თვით ცივილიზაციებმაც კი. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართულ მოსახლეობას კი, მათ არამარტო ეროვნულადა, არამედ დედა ენა და ეროვნული ტრადიციებიც კი მცინარჩუნეს. უმრავლეს შემთხვევაში ისინი ქართველებთან ერთად იზიარებდნენ ყველანაირ ეროვნულ ღებინებას თუ ჭირ-ვარამს ბევრმა არაქართულმა მოსახლეობამ წინაპარა იმდენი თაობა მიიბარა ქართულ მიწას, რომ დღეს საქართველო მათთვის სამშობლოდ იქცა მიუხედავად იმისა, გააჩნდა თუ არა ისტორიული სამშობლო სხვაგან. ამის დასტურია თუნდაც ებრაელი ხალხის ისტორია, რომელთაც არცერთ ქვეყანაში ფეხი არ მოაკიდებინეს, საქართველოში კი 26-საუკუნის მანძილზე არ უგვრძნიათ არავითარი ეროვნული და რელიგიური შევიწროება. სწორედ ამიტომაც მიგობრობა ებრაელებისა და ქართველების მასშტაბებით იზომება. კომუნისტური ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს საქართველო წარმოაჩინოს იმპერიად, ხოლო

ტი მოქალაქე, რომლებიც გაერთიანდნენ ან ემზობოდნენ ამ ორგანიზაციებს, გულწრფელი ეროვნული მოსაზრებებით, გადააფასებს თავის მეხედლებსა და ღირებულებებს არსებული ვითარების ფონზე. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიზნად ისახავს კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის დამხობას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენას. დემოკრატიულ ქვეყანაში ყველა ერს ექნება საშუალება თავისუფლად განავითაროს თავისი ეროვნული კულტურა, შეინარჩუნოს ენა და ადამ-წესები. საბჭოთა "ინტერნაციონალიზმი" კი ფაქტიურად ერების ასიმილაციას, გარუსებას ემსახურება, დღეს კავკასიის სხვა ერები ისევე არიან დაპყრობილი და დაჩაგრული როგორც ქართველები და ოსები. ჩვენს შორის დავა და ომი მხოლოდ დამპყრობელს გაახარებს და საბოლოოდ ის აქ განიმტკიცებს თავის პოზიციებს. მეგობრებო! ჩვენ საერთო მტერი გვყავს--საბჭოთა ხელისუფლება, რომლის ძალითაც ჩვენ ვემორჩილებით კრემლს. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს ყველა თავისი ნაკლი და შეცდომა დაძაბულ ეთნოურთიერთობებს გადააბრალოს და ამით თავი დაიძვრინოს პასუხისგებისაგან. თუ ჩვენ დავდგებით ერთად, შემოვიკრებთ კავკასიის ჩაგრულ ერებს ნანატრი თავისუფლებაც ჩქარა დადგება, ხოლო თუ ერთმანეთთან უაზრო ჩხუბში დავბარჯავთ ენერგიას, საუკუნოდ კრემლის მონები დავრჩებით. ყოველი მცირე ერი, რომელიც სა-

ქართველოში ცხოვრობს, შეასრულებს რა კრემლის მიერ ემზაკურად თავსომხვეულ მისიას, ისევე დავიწყებელი იქნება საბჭოთა ხელისუფლებისაგან, როგორც აქამდე. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიღვინა რა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, პირველივე დღეებიდანვე დაიწყო ზრუნვა პროგრესული კონსტიტუციის შესაქმნელად. მიუხედავად საომარი მოქმედებისა საბჭოთა რუსეთთან, იგი მაინც დაამუშავა სრულყოფილად და იქ დათლად გამოკვიტა სამართლებრივი საიდეალური კონტურები. იგი აღიარებული იქნა ყველაზე უფრო დემოკრატიულ და ჰუმანურ კონსტიტუციად იმდროინდელ მსოფლიოში. გავცნოთ რამდენიმე მუხლს ამ კონსტიტუციის მე-14 თავიდან. მუხლი -- 144 არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარება; განსაკუთრებით მისი დედინით, სწავლა-აღზრდითა და ეროვნულ-კულტურული საქმეთა შინაური მართვა-გამგეობით, ყველას აქვს უფლება წეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე. მუხლი -- 151 ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადებული თანხით დაარსოს საკმაო რიცხვი სკოლები და კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები. მუხლი -- 152 ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს მის მიხედვით. მუხლი -- 153 ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღმებტება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში შემოღებული უნდა იქნეს სახელმწიფო დედა-ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც. მუხლი -- 155 არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოთქვას დედა-ენაზე. ეთი ფართე უფლებები ეროვნულ უმცირესობებს არ გააჩნიათ ბევრ დევანდელ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი. მეგობრებო! მოგიწოდებთ ერთად ვიბრძოლოთ ჩვენი და ჩვენი შვილების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის! მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში არ ექნება ადგილი ეროვნულ უთანხმოებებს. გაუმარჯოს ჩვენს საერთო საქმეს! საქართველოს დემოკრატიული პარტია. 10 იანვარი 1990 წელი

### ჯეორჯია... გვიჩვენებს კი?

მე ვფიქრობ, რომ ერთად დამავიწყებელია ახლანდელი ვითარება საქართველოში. ჩემს პირად აზრს არავის მოვახვევთ თავზე იმის თაობაზე, საჭირო იყო თუ არა თბილისიდან მომხრეობის წასვლა ცხინვალში. მე ამ ამბავს სხვა კუთხით ვხედავ. მაგრამ ამის შესახებ მოგვიანებით ვისაუბროთ. ეხლა კი რაც ხდება ამას აუცილებლად უნდა გაუკეთდეს ანალიზი და მკაცრი შეფასება უნდა მიეცეს მიმდინარე მოვლენებს. 9 აპრილს მარნეულში, აფხაზეთში და სამარაბლოში მომხდარმა ამბებმა აშკარად დაგვანახა შესამე პირი. საქართველოს მოსახლეობამ თავისთავზე გამოსცადა მისი მზაკვრული, ბოროტები აღსავსე რეალური ძალა. დიდი ხანია მოვიდა დრო, რომ საქართველოში მოქმედი ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ ამა, თუ იმ პოლიტიკური ღონისძიების მოწყობის დროს. მართალია შეიქმნა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი და შემუშავებულია მისი წესდება, მაგრამ რად გინდა, ხშირად პოლიტიკური პარტიები თუ საზოგადოებები კარგაკეტილობას ამჟღავნებენ და აქციებს აწყობენ ორი თუ სამი ორგანიზაციის მონაწილეობით. ეს ხდება იმ დროს, როცა ერთიანობაა საჭირო. ყოველივე ამით ფერხდება ეროვნული მოძრაობა და ამავდროს "სუკ"-საც მეტი საშუალება ეძლევა სათითაოდ ჩვენი სრული განადგურებისათვის. საქართველოს დემოკრატიული პარტია, არსებობის მანძილზე, ყოველთვის მოუწოდებს ოპოზიციურ პარტიებს მის პოლიტიკურ აქციაში მონაწილეობისათვის, ესაა საჭირო იმისათვის, რომ ყოველ აქციას თუ

პოლიტიკურ ღონისძიებას მიეცეს ფართო და მძლავრი იერსახე, რამეთუ ერთკონად შეკრული ისრები ძალიან ძნელად გატყდებიან. "საჭიროა საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით უკომპრომისო ბრძოლა არსებული დიქტატორების წინააღმდეგ!" /საქართველოს დემოკრატიული პარტიის მოწოდება/. ---აი ნათელი გზა, აი ერის ხსნის მთავარი გასაღები. ყველამ ვიცით, თუ რისი გაკეთება შეუძლია არსებულ იმპერიას. მამ რაღა საჭიროა ქარის თოვებით ვიბროლოთ ამ სიტუაციაში ოსების წინააღმდეგ, როცა ვიცით, რომ ისინი გაბრწყინებული არიან კრემლისა და მისი ადგილობრივი დამქაშების მიერ? არ მგულდება კაცი საქართველოში, რომ მათ მოახოვებზე არ გაეცინოს, მაგრამ ვიცით, რომ ამ მოახოვნების დამუშავების ავტორი მესამე პირია. დიან ვიცით, მაგრამ მუ წლის განმავლობაში დაბანგული გონებით ველარ ვსაზღვრავთ, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში პროვოცირებულნი არ ვიქნეთ, მიტირებზე თუ მანიფესტაციებზე გავიძახით, რომ ვმოქმედებთ საერთაშორისო სამართლის ნორმების პრინციპით და ამ დროს მოწინააღმდეგეს ვაძლევთ საშუალებას ბოროტად გამოიყენოს ჩვენი სახელი. გვაიწყობება, რომ არათუ ჩვენს თითოეულ მოქმედებას, არამედ ჩვენს თითოეულ სიტყვასაც კი სხვაგვარად რომ "თარგმნის" და ასევე რომ ავრცელებს აღნიშნული მესამე პირის ხალხში! გაფრთხილდეთ! ეს არის ჩიხი, საიდანაც უკან დასახევი გზაც კი არ არსებობს. იურიდიულად საქართველოს მოსახლეობის არც ერთ წარმომადგენელს არა

აქვს უფლება გაილაშქროს ოსების წინააღმდეგ, რამეთუ ყველანი სსრკ-ს მოქალაქეა, ხოლო საქართველო კი მისი შემადგენელი ნაწილია. კომუნისტების მიერ შემოთავაზებული საჯაროობა არის ხაფანგი თავისუფლების მოყვარე ყოველი ერის მიმართ. რომელ საჯაროობაზე შეიძლება ლაპარაკი როცა ჩვენი თავი თვითონვე არ გვეკუთვნის, გვალაპარაკებენ იმიტომ, რომ ჩვენს მოცილები ტერორისტების გამოხდომებამ მონათლონ. ჩვენს ეროვნულ ღირსებას ტალახში სვრიან ჩვენშივე მაცხოვრებელი ეროვნული უმცირესობების გამოყენებით, ხოლო შემდგომ ჩვენი ემოციების გამოყენებით მათანად გააღვივონ ეროვნული ურთიერთ შუღლი და მოაწყონ მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. აი ამ წინააღმდეგობების კულმინაციურ ზღვარზეა მისული დღევანდელი აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობა. მათ დაჰკარგეს ნამდვილი მტრის შეგრძნების უნარი. ამ არა სამართლებრივი ბრძოლად ასუსტებენ ერთმანეთს და მათ ამ მოქმედებას ეძლევა შოვინისტური ხასიათი. უფრო მეტიც: აღნიშნულ რესპუბლიკებში ეროვნული ბრძოლა გადაიზარდა ბრბოსათვის დამახასიათებელ მოქმედებაში. აღარ ინდობენ ერთმანეთს, უღეტენ ბავშვებს, მოხუცებს, ქალებს. ანგრევენ და მიწასთან ასწორებენ საცხოვრებელ ნაკვეთებს. ეს იმ დროს, როცა მათი წაქეზებით კმაყოფილი მოსკოვური რეაგებება თათებს იფშვინებს და "მწუხარე" ხმით უხვადღებს თანაგრძნობას დაღუპულთა ახლობლებს და რიხიანად უმატებს: ხომ ხედავთ აუცილებელი ყოფილა საგანგებო წესები და ვინაიდან "თავდასაცავად" იარაღის ხმარება სასტიკად "აკრძალული" უკონდად შინაგან საქმეთა, სპეციალური დანიშნულების და სუკ-ის ჯარებს, ახლა ეძლევათ ნება გამოიყენონ იარა-

ღი, ოღონდ მოსახლეობასთან სათანადო ახსნა-განმარტების შემდეგ. საოცარი ცინიზმი! /ამ ირონიით საცხე ინფორმაციის სინამდვილეს ამტკიცებს ამა წლის 18 იანვრის დღის 9 საათზე საკავშირო რადიოთი სსრკ თავდაცვის მინისტრის იაზოვის გამოცხადება/. იმავე გამოსვლაში მინისტრმა აღწოთება გამოთქვა "ჭკუის დამრიგებელ და გამშველებელმა" მსხვერპლებზე. მე არ ვიცი მათ შორის თუ მართლა იყო მსხვერპლი, მაგრამ მთელმა ქართველმა ერმა იცის, თუ რა ჭკუის დამრიგებელი და გამშველებელია სუკ-ისა და სპეციალური დანიშნულების ჯარები. დემოთია მოწმე სიკვდილისა არ მეშინია, მაგრამ მინდა, რომ ამ უკიდურესობამ ჩემს ერს რაღაც შევება მაინც მოჰგვაროს. ამ აზრისაა ეროვნული მოძრაობისათვის თავდადებული მამულიშვილები. ამიტომ არ მივდევთ ყარაბახის მაგალითს. იგი მხოლოდ მსხვერპლს მოითხოვს და სასიკეთოს კი არაფერს მოგვიტანს. ძალიან ძლიერი მტერი გვყავს. იგი მთელ ქართველ ერს ოსების წინააღმდეგ უბიძგებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლასაკენ. და თუ ეს შეძლეს, მაშინ ჩემი ერი განწირული აღმოჩნდება. ამის გვეშინია და ამიტომაც ყველას გადავიძება საჭირო. ერის ძილი, ერის სიკვდილს უდრის. საქართველოში მოქმედმა ოპოზიციურმა პარტიებმა მეტად ბრძოლად დააწყვიტებინა მიიღო: მოაწყონ გრანდიოზული აქცია მარიონეტული მთავრობის სასახლის წინ ამ ორგანიზაციების ადამიანთა წარმომადგენელმა დაიწყოს გამაფრთხილებელი შიმშილობა, რომელიც გადაიზარდა მასობრივ აქციაში და მოედო ქ. თბილისისა და რუსთავს. გაჩერებული იქნა საკავშირო მნიშვნელობის ფაბრიკა-ქარბები. სრულიად შეწყდა

სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობა. ყოველ დღე ჩამოდიხონენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ხალხთა წარმომადგენლები შევიისათვის მხარდასაჭერად. მათ შორის იყვნენ ლაგოდეხის რაიონის სოფ. გიორგეთის წარმომადგენლები, რომელთაც კურირებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მე-4 დასის გიორგეთის ფილიალი. თანამემამულეო! ყოველივე ეს კარგია, მაგრამ არაღამაკმაყოფილებელია. არ უნდა მივცეთ თვითდამშვილებას. საჭიროა ვიყოთ თუ როგორ გამოვხატოთ ჩვენი გულსტკივილი ეროვნული საქმისათვის. ზემოთ აღნიშნულმა აქციამ ბევრი რამ სასიკეთო მოგვიტანა. სხვას რომ თავი დავტყუროთ, მარტო ის რად ღირს რომ ჩვენ შევძლებო და გვენახებინა ხალხისათვის თუ ვინ არის მისი ნამდვილი მტერი, ეს იმ დროს, როცა სამარაბლოში ქართველთა სისხლი იღვრებოდა. მსოფლიოს ხალხმა გაიგო, რომ ოსების სისხლის დაღვრა არ გვინდა. ეს უკვე ოსებმაც შეიგნეს და ეძებენ გზებს შემოსარტებისადმი. ჩვენ არ გვინდა ზედმეტი სისხლი. მოვიწოდებთ გავერთიანდეთ და საქართველოს ოპოზიციურ პარტიებს ამოვუდგეთ გვერდში. თუ საჭირო იქნება ჩვენ მზად ვართ ჩვენი თავი მივიტანოთ თავისუფლების სამსხვერპლობა. სხვაგვარად, ემოციებზე დაყრდნობით ხალხის მსხვერპლის რაოდენობა შემზარავი იქნება. გონს მოდიო ხალხნო! ვიბროლოთ საერთო მტრის -- თავისუფლების, მშვიდობისა და დემოკრატიის უბოროტესი მტრის -- რუსეთის კომუნისტური იმპერიის წინააღმდეგ!!!

იური წიწილაშვილი  
18 იანვარი

### ჩვენი შთაბეჭდილება

ეროვნული მოძრაობით დაინტერესებულმა, გადაწყვიტე მომინახულებინა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რეგიონები. დასკვნა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. იყო აღმაშფოთებელი და ამავდროს დამამიმედებელი ფაქტებიც. შევცდებდი წარმოგიდგინოთ ჩემი შთაბეჭდილებების ზოგიერთი სურათი. თანამხრეში ძალიან ნაკლებად იცნობენ ეროვნული მოძრაობის პერსპექტივებს. სხვათა ჩაგონებით ისინი ჯიუტად ადგანან დაგვიხულებენ მოყვარე ქართველებს წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის გზას. იგივე მდგომარეობა იგრძნობა სოხუმშიც. ამ უკანასკნელში შედარებით დამამიმედებელი მდგომარეობაა. იგრძნობა აფხაზური მოსახლეობის დაინტერესება ჩვენი თვითგამოცემების მიმართ. ვიდაცის, თუ ვიდაცეების შიშით პოლიტიკურ დიალოგში შორს არ მიდიან. სცილებიან რა პოლიტიკურ მაგდას უკმაყოფილების გრძნობით, ქვეშეუხებლად ატყობ დაუთკებელ სურვილს რეალობის აღსაქმელად. იქ ეს ყველაზე კარგად იცის. მაგრამ მე ვერ გამოვიკა ვაფხაზეთული ქართველების, რომ-

ლებმაც უახლოეს წარსულში შეიძლება ეროვნება პირადი კეთილდღეობისათვის. ვეთანხმები ჩემს მეგობრებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ეს აღრევე გათვლილი მანევრი იყო ქართველობის დასათრუნად, რომ მათზე ხელოვნური ანტიქართული ზეგავლენა იქონიეს, რომ ქრისტე იუდაამ რაღაც ოდნაათ ვერცხლად გაჰყიდა. მათ კი ამ მოქმედებისათვის არამარტო ჟულს, არამედ კეთილდღეობას, თანამდებობას. და მთელი მოღამის უზრუნველყოფას უპირდებოდნენ. და თქვენ წარმოგიდგინეთ ასრულებენ კიდევ. მაგრამ აი ამ პერიოდში, საქართველოსთვის ერთი მძიმე დღეებში, სინდისი მაინც რომ არ აწუხებთ მათ, ესაა საკვირველი. თანადგომას ვინლა ჩივის ისინი უფრო აქტიურად იბრძვიან ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. ნეტავ მათ სულში ჩამახედა და დამანახა ბოროტების ის თესლი, რომლიდანაც ასე უხვად ანახებენ გესლს. საქართველო ხომ ოდიტანვე იყო ცნობილი თავისი ერთგულებით ენის, მამულის და სარწმუნოების მიმართ, რომელსაც პარალელად გასდევდა ძმური სიყვარული ჩვენში მაც-

ხოვრებელი სხვა ერებისადმი. ეს რომ არა, აქამდე თავს რითი მოიტანდა? ასეთი დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანას მისი შვილი რომ მტრად მოეცილებდა, რბის შემდეგ სისხლს რომ დაუწყებდნენ წოვას რისი ღირსია განა თვითონ პი იცის? ერის მოღალატეებს რომ არასად არ ეღობებოდა, ეს თუ იცის? თუ არ იცის -- ეხლა გაიგოს. მკითხველმა ისე კი არ გამოგოს, თითქოს მე მათგან ქართველობის დაბრუნებას მოვიბოძებდი. ესლა მაკლია, მე სხვა რამ მაწუხებს. მე მინდა მთელმა მოსახლეობამ გაიგოს, რომ ეს ამბები საქართველოს მარიონეტული მთავრობის წაყვებით და კეთილდღეობა, არამედ უშუალო ხელშეწყობით. გასაბჭოებისა და აფხაზეთში დაწყებული ანტიეროვნული გადაბირება მთელს საქართველოში გაავრცელეს. გადაბირების არც უკუმიმართულებითი გზა გამოჩინათ მხედველობიდან. აღმოსავლეთ საქართველოში ავიწროებდნენ სხვა ეროვნებებს და აიძულებდნენ მიეღოთ ქართველობა. ეროვნულ უმცირესობებში "გადაბირებულადგან" მეტი პროცენტული რაოდენობით აღმოჩნდნენ ოსები. მათ საპასპორტო ჩანაწერებში ხშირად წაიკითხავთ, რომ გვარი მთავრდება "შვალზე" ეროვნება კი ოსი, ან შერბუნებით, გვარი მთავრდება ოსურად, ეროვნება კი ქართველი. უფრო

ხშირად კი ერთდ და მეორედ ქართულია. ამ სიტუაციაში მოყოლილი ხალხი გამოთქვამს უკმაყოფილებას მიელი ქართველი ერის მისამართით. მათ არ სურთ პასუხი მოთხოვნ ნამდვილ დამნაშავეებს, რაღჯან ისინი "ძლიერი ამა სოფლისანი" არიან... მკითხველო, ყოველივე ეს რისთვის არის საჭირო ალბათ ხვდებით. ეს არის არა შემთხვევითობა ან წაყრების შედეგი, ეს არის ქართველი ერის მიმართ გენოციდის "უწყინარი" სახე, რათა შემდგომ ეროვნული უმცირესობები დაუპირისპირონ ქართველ ერს "თვითგამოცემისათვის" ბრძოლაში. ხაზს ვუსვამ და ვიპირისპირებენ ეროვნულ უმცირესობებს და უშუალო დამნაშავეები კი კრემლში და რუსთაველის ქუჩაზე სისხლიანი საძირკველის მქონე სასახლეში მოკალათდებიან არბეინად და გაამწვავებენ სიტუაციას ახალ-ახალი პროვოკაციებით. /სხვათაშორის სხვაგვარი განვითარების რა მოგახსენოთ, მაგრამ საბჭოთა კავშირმა ბინძური პროვოკატორული განვითარებით მსოფლიოში უღიღეს სიმაღლეს რომ მიაღწია, ეს ულავოა, აი ეს ხდება ახლაც და ეს მინდა შეიგნოს საქართველოს ყოველმა მოსახლემ და ფიქრდეს ყოველი სანამ აიღებს იარაღს ქართველი ერის წინააღმდეგ ვის ებრძვის იგი? განა ქარ-

თველ ერს რაიმე ლანაშული მიუძღვის მათ წინაშე? განა ყოფილა შემთხვევა მას დაეჩაგროს ვინმე? ქართველი ერი თვითონ იჩაგრება, თვითონ განიღვის დამიერებას და აბუჩად აგდებს და იგივე ვისგან? იმათგან ვისგანაც სხვა ეროვნული უმცირესობები. ამიტომ საჭიროა ერთგულ ბრძოლა იმპერიისა და არა ქართველების წინააღმდეგ უნდა გვახსოვდეს, ქართველი ერი ამ ე. წ. ეთნოკონფლიქტებს აღიქვამს როგორც ომს. დიან, ნამვილ დაპყრობით ომს და დამაყრობლები ეროვნულ უმცირესობებს იყენებენ წინა ხაზზე საზარბაზნე ხორცად. დასასრულს - მე მინდა მივმართო საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს: შეწყვიტეთ ყოველგვარი საომარი მოქმედება ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. ჩვენ ვიბრძვით ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და არა თქვენს წინააღმდეგ. "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვარებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ერისა, სარწმუნოებისა და სქესისა". ეს მუხლი ამოღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს დადგენილებიდან რომელიც მიღებული იქნა 1917 წლის 22 დეკემბერს. აი

(დასასრული მე-3 გვერდზე)

დასასრული

ამას იტყვის ღვევიანდელი საქარ...
თვილი, ქარაველი ერი და მისი
საუკეთესო შვილები. გონს მო-

ნა

მოაქონს

საქართველოს

მეგობრებად მიღებული მცირე
რიცხოვანი ერები, რომლებმაც
საქართველოს მიწაზე მკვიდრად

საქმე იმაშია, რომ იმის შემ-
დგ რაც ბოლშევიკებმა დაიპყრეს
თავისუფალი საქართველო, მათი

როდესაც ეროვნულმა მოძრაო-
ბამ მიიღო სერიოზული გაქანება,
რეალური, ძლიერი და სამართლი-

16 ივლისს საქართველოს დემო-
კრატიულმა პარტიამ გამოაცხადა
კრემლისადმი იურიდიული დაუმორ-

მა უარი განაცხადა დამპყრობ-
ლის, სსრკ-ს მოქალაქეობაზე.
ამ პოლიტიკურად ძლიერ აქციას

კრემლი არ დასჯერდა მიღწეულს.
ამჟამად საქართველოს წინააღ-
მდეობა ააჯანყა ე.წ. სამხრეთ

წლის შემდეგ დაუკარგავენ ყოვე-
ლივე ეროვნული ტრადიციის ნიშ-
ნებს და რაც მთავარია ენას.

საქართველოსაც ემუქრება იგი-
ვე... დროა დავივიწყოთ ანდაზა
"წერთი მყავდეს და კარგი იყოს."

ბაღრი ღიღბაშვილი
სტბ

რომის?

"რომის დაგვარებე, შვილი?!"

მეცობებოლი, ღედავ!
ახლა მე პასუხს ვვლილობ,
ახლა მე პასუხს ვვლილობ...
მაშინ დამკარგე, როცა

გადაასახლეს, როცა
კაცი, მართალი ცამდე!
სამშობლოსათვის მლოცავს
როცა არ ცნობდნენ, კლავდნენ...

ლია სვანიძე
1989 წლის 28 აპრილი

საბჭოთა

"ნობათი"

1986 წლის აგვისტოში გორის
ბორცკომბინატმა მიიღო I-ლი
კატეგორიის ბორცი 13330 ტ.

საქართველოსაც ემუქრება იგი-
ვე... დროა დავივიწყოთ ანდაზა
"წერთი მყავდეს და კარგი იყოს."

ბაღრი ღიღბაშვილი
სტბ

ჩვენს მიერ სურს "მოქალაქეობაზე"

საპროტესტო სსრ
საბავსთი არარსებობის
კომიტეტი



ГОСУДАРСТВЕННЫЙ
АГРОПРОМЫШЛЕННЫЙ КОМИТЕТ
ГРУЗИНСКОЙ ССР

380023 ქ. თბილისი ლენინის ქ. 59
ტელეფონი № 36-54-90
ტელეტაიპი № 212145, 212204, 212362

380023 გ. თბილისი ულ. ლენინა 59
Телефон № 36-54-90
Телетайп № 212145, 212204, 212362

07.1986 № 4/7-13/1

0 переработке мяса с
повышенным содержанием
радиоактивных веществ

Батумский м/м
т. Диасанидзе
Директорам предприятий мясной
промышленности

Направляется для руководства в работе "Рекомендации по
использованию мясного сырья с содержанием радиоактивных веществ
в пределах от 2.10-7 до 1.10-6 Ки/кг на выработку колбасных
изделий на 1986 год и "Инструкцию по дезактивации производствен-
ных помещений и технологического оборудования на предприятиях
мясной и птицеперерабатывающей промышленности".

Приложение: по тексту на 16 листах экземпляры № 000024 и
№ 000023 для служебного пользования.

Зам. Начальника Главного управления
по производству и переработке
продуктов животноводства
УТВЕРЖДАЮ:
УТВЕРЖДАЮ:

Главный государственный
санитарный врач СССР
Т.Н. Бурдасов
" 2 " июня 1986г.
Первый заместитель Предсе-
дателя Госагропрома СССР
Е.Н. Сизенко
" 5 " июня 1986г.

ПРОТОКОЛ
совместного совещания ответственных
представителей Госагропрома СССР
и Минздрава СССР

29 мая 1986г.

2. Установить, что результаты радиационного контроля
упомянутой продукции, проведенного организациями и учреждениями,
по указанным в данном протоколе, не могут служить основанием
для её ввбракоски или принятия решения, связанных с реализацией.
3. Поручить Институту биофизики, Ленинградскому НИИ радиаци-
онной гигиены Минздрава СССР и ВНИИ сельскохозяйственной ради-
ологии Госагропрома СССР создать до 15 июня с.г. постоянно дейст-
вующую группу для оказания практической помощи по унификации
радиационного контроля, оценки правильности использования
методик и аппаратуры в лабораториях и на объектах республиканс-
кого и областного подчинения.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარეს
ბ-ნ გივი ბუშაბრიძეს
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
ბ-ნ ნურარ ზინანავას
ბორცის წარმოების საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის მიერ /ღირექტორი
ვ. ივაშვილი/ შემუშავებული რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს რა-
დიოაქტიური ნივთიერებების შემცველი ბორცის გამოყენებას ძეხვებში.
ეს რეკომენდაცია შეთანხმებულია სსრკ მთავარი სანიტარული ექიმის
მოადგილესთან /ა. ზაჩინკო/ და დამტკიცებულია სსრკ სახანგარო მწვერულის
თავმჯდომარის მოადგილესთან /ლ. კუზნეცოვი/ 1986 წლის 30 დეკემბერს
/სახალწლო საჩუქარი?!/
და აი ამ რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს სხვადასხვა ქალა-
ქის მაცხოვრებელში შემოვიდა ასევე ტონობით რადიოაქტიური ნივთიერების
შემცველი ბორცი. ცხუმის ბორცკომბინატში შემოსული 66 ტონა ასეთი "ბორ-
ციდან" 16 ტონა უკვე გამოვლულია წარმოებაში ძეხვის წაწარმის სახით.
დარჩენილ 50 ტონას დაკარგული აქვს სასაქონლო იერი.
ბორცკომბინატის თანამშრომლების ვარაუდით, მაღალი ინსტანციები აპი-
რებენ დარჩენილი "ბორცის" უტილიზაციას და კომბინირებულ საკვებში
გამოყენებას ან საქართველოს ტერიტორიაზე ჩამარხვას! ამის შედეგად
რა ღვე დადგება ჩვენს ისედაც კატასტროფულად დაზინდურებულ ბუნებას,
ადვილი წარმოსადგენია.
კატეგორიულად მოვითხოვთ, უმოკლეს ვადებში გამოიძენოს ნებისმიერი
თუნდაც ძვირად ღირებული საშუალება და "ბორცი" ტრანსპორტირებულ იქნას
იქ; საიდანაც გამოიგზავნა.
რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია
1989 წლის 20 დეკემბერი

